საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

# ბრძანება №73

თბილისი „08“ 02 2016

### „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ჩ$^{1}$“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ზ“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი: 32 05 05 02) ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თამარ სანიკიძე

დამტკიცებულია:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2016 წლის 08. 02 № 73 ბრძანებით

# სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამული კოდი: 32 05 05 02

2016 წ.

## 1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

წინამდებარე პროგრამით განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირების-უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტრუქტურული ერთეულების - სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების კვლევითი პროექტების 2016 წლის დაფინანსება.

ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ მოცემულია ცხრილში:

| | |
|---|---|
| **სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა** | განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება |
| **პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მოცემული პროგრამა** | სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05 05 02) |
| **პროგრამის განმხორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| **პროგრამის დასაწყისი** | 2016 წლის 1 იანვარი |
| **პროგრამის დასრულება** | 2016 წლის 31 დეკემბერი |
| **პროგრამის ბიუჯეტი** | 22, 000, 000.00 ლარი |
| **პროგრამის ზოგადი მიზანი:** | მეცნიერების აღდგენისა და განვითარებისთვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტრუქტურული ერთეულების - სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსებით ხელშეწყობა |
| **პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები** | ▪ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები;<br>▪ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები;<br>▪ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები;<br>▪ სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები; |
| **პროგრამის შემუშავების თარიღი** | 2016 წლის იანვარი |
| **პროგრამის დამტკიცების თარიღი** | 2016 წ. თებერვალი |
| **პროგრამის ტიპი** | პროგრამა შინაარსით არის სუბსიდირების ტიპის და გამოიხატება მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში განსახორციელებელი პროექტების სრულად ან ნაწილობრივ (თანადაფინანსება) დაფინანსებაში. |
| **პროგრამაში ცვლილების განხორციელების თარიღები** | 1.---<br>2.--- |
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამაზ მარსაგიშვილი |
| **შენიშვნა** | პროგრამის ხელმძღვანელს ტექნიკურ დახმარებას უწევენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების და ეკონომიკური დეპარტამენტები |

## 2. პროგრამის დასაბუთება

უკანასკნელ ათწლეულში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა ცხადყო, რომ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაცია, ინოვაციური პროცესების ხელშეწყობა წარმოადგენს წარმატებული სახელმწიფოს განვითარების ძირითად ტენდენციას.

საქართველოს სამთავრობო პროგრამა - „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის" ითვალისწინებს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში ინოვაციური პროცესების ხელშეწყობას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მეცნიერების როლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. უკანასკნელ წლებში, საქართველოს მთავრობის ძალისხმევით, დამყარდა ორმხრივი ურთიერთობები მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან კვლევით ცენტრებთან. საქართველოს მეცნიერები, სულ უფრო ინტენსიურად არიან ჩართულები სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, სულ უფრო მეტი მეცნიერი მოღვაწეობს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, მთავრობამ აიღო ვალდებულება ხელი შეუწყოს საქართველოს ევროპულ კვლევით სივრცეში ინტეგრაციას, განავითაროს და დანერგოს ორმხრივი და მრავალმხრივი სამეცნიერო - ტექნოლოგიური პროგრამები, შექმნას მყარი საფუძველი, რათა საქართველოს მეცნიერებმა გაზარდონ თანამშრომლობა ევროპელ კოლეგებთან.

გარდა ამისა, 2009 წელს ლუვენის კომუნიკემ, რომელმაც დასახა ,,ბოლონიის პროცესის'' შემდგომი 10 წლის ძირითადი ორიენტირები (და რომლის მონაწილე არის საქართველო), მკაფიოდ განსაზღვრა მოცემულობა, რომ უმაღლესი განათლება ყველა საფეხურზე უნდა ემყარებოდეს თანამედროვე სამეცნიერო კვლევებს და ამით ხელი შეუწყოს საზოგადოებაში შემოქმედებითი და ინოვაციური საწყისების გაღრმავებას. კომუნიკე აღიარებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის გამოყენებით მეცნიერებაზე დამყარებული პროგრამების მნიშვნელობას ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების საქმეში. როგორც აჩვენებს მსოფლიო პრაქტიკა, იმ საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულნი, რომელშიც ნაკლებად არის წარმოდგენილი კვლევითი კომპონენტი, შრომის ბაზარზე ნაკლებად კონკურენტუნარიანები არიან. პროცესის მონაწილე სახელმწიფოებმა ყველანაირად უნდა შეუწყონ ხელი, რათა სამეცნიერო საქმიანობა სტუდენტი ახალგაზრდობისთვის გახდეს პერსპექტიული და უფრო მიმზიდველი, კარიერული წინსვლის განმსაზღვრელი. მიზნის მისაღწევად და ქართული მეცნიერების საერთაშორისო სტანდარტების დონეზე გასასვლელად, აუცილებელია სამეცნიერო საქმიანობისა და კვლევების გაძლიერება, საერთაშორისო კვლევებში ინტენსიური ჩართულობა, სამეცნიერო კადრების როგორც შენარჩუნება, ასევე ახლის გაზრდა. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სამეცნიერო პოტენციალის შესუსტება იწვევს უმაღლესი განათლების ხარისხის შესუსტებას, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა სახელმწიფო ინტერესების სფეროს წარმოადგენს.

ხაზგასასმელია აგრეთვე ისიც, რომ ბოლო პერიოდში, ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად, სამეცნიერო კვლევების არეალი უფრო გაფართოვდა. იქმნება ახალი მიმართულებები მეცნიერებაში. თანამედროვეობის წინაშე წამოჭრილი მრავალი პრობლემა მოითხოვს სწრაფ და ეფექტიან გადაწყვეტას, რაც ხშირ შემთხვევაში სცილდება როგორც ერთეული სამეცნიერო ჯგუფის, ასევე საგანმანათლებლო თუ კვლევითი დაწესებულების

შესაძლებლობებს. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მეცნიერების უზრუნველყოფა მოითხოვს სასწავლო-სამეცნიერო ცდებისა და კვლევების უწყვეტ განხორციელებას.

2014 წელს, სამეცნიერო პოტენციალის დადგენის მიზნით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (42 სამეცნიერო -კვლევითი დაწესებულება) სამეცნიერო პროექტები შეფასებულ იქნა საერთაშორისო ექსპერტების მიერ (იხ. ცხრილი). შეფასების დროს გათვალისწინებული იყო აგრეთვე საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში მეცნიერების განვითარების მიმართულებით შექმნილი მძიმე ვითარება, როცა პრაქტიკულად არ მომხდარა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეკეთება და შევსება. შემდგომ სამეცნიერო პროექტები განიხილა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 4 მარტის N218 ბრძანებით სამინისტროსთან შექმნილმა სამეცნიერო საბჭომ (შემდგომში - საბჭო), რომელმაც შეისწავლა წარმოდგენილი სამეცნიერო პროექტები და თითოეულ მათგანზე უცხოეთში მოღვაწე ექსპერტთა დასკვნები. საბჭოს მიერ სამეცნიერო პროექტების (სამოქმედო გეგმების) შეფასებისას, გარდა ექსპერტების მიერ გამოყენებული კრიტერიუმებისა, გათვალისწინებული იქნა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა სხვადასხვა აქტივობები, სამეცნიერო პუბლიკაციები, ციტირების ინდექსები, პატენტები, საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა (პროექტები, გრანტები, საერთაშორისო პატენტები) და სხვა. იმავე დროს საბჭოს წევრები შეხვდნენ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელმძღვანელებს და ადგილზე გაეცნენ დაწესებულებებში არსებულ ვითარებას. მონაცემების შეჯერების შედეგად, მოხდა სამეცნიერო პროექტების შეფასება და თითოეულ მათგანზე შესაბამისი დასკვნის მომზადება. სამეცნიერო პროექტები ძირითადად არის მრავალწლიანი და მაქსიმალური ხანგრძლივობა არ აღემატება 10 წელს. სამეცნიერო პროექტების შეფასების ბოლო ეტაპს წარმოადგენდა მათი ფინანსური ნაწილის დაზუსტება. გაიმართა სამუშაო შეხვედრები სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლების მონაწილეობით და მათთან ერთად იქნა განხილული წარმოდგენილი პროექტების ბიუჯეტები, რის შედეგადაც მოხდა შეჯერება მათ საორიენტაციო მოცულობებზე.

*საერთაშორისო ექსპერტების მიერ პროექტების შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმების ცხრილი:*

| პროექტის დასახელება | პროექტის აქტუალობა | პროექტის სიახლე | პროექტის სამეცნიერო ღირებულება | პროფესიული დონე | მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის |
|---|---|---|---|---|---|
| N1.----- | | | | | |
| N2.----- | | | | | |

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამით განსაზღვრული უნივერსიტეტების სტრუქტურული ერთეულების - სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება ემსახურება სამეცნიერო პერსონალის წახალისებას, სამეცნიერო კვლევების უწყვეტობის უზრუნველყოფას, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის პირობების შექმნასა და გაუმჯობესებას.

პროგრამა შესაბამისობაშია 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საშუალოვადიან (2016-2019წწ.) სამოქმედო გეგმებთან.

## 3. პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები და დაფინანსების მოცულობები

3.1. პროგრამის ფარგლებში ფინანსდებიან შემდეგი უმაღლეს საგანმანათლელო დაწესებულებათა სტრუქტურული ერთეულები-სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები:

| დასახელება | დაფინანსება 2016 წ. |
|---|---|
| სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები (15 ერთეული) | 11,387,300.0 ლ. |
| სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები (16 ერთეული) | 5,339,410.0 ლ. |
| სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები (9 ერთეული) | 3,963,900.0 ლ. |
| სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები (2 ერთეული) | 1,135,850.0 ლ. |
| ჯამი | 21,826,460.00 ლ. |

*<u>შენიშვნა:</u> პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის დარჩენილი ნაწილი 173,540.00 ლარის ოდენობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიმართული იქნება სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების დასაფინანსებლად, შესაბამისი ცვლილების საფუძველზე.*

3.2. პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებზე გამოყოფილი დაფინანსების მოცულობები განისაზღვრა*:

3.2.1. „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან სამეცნიერო საბჭოს შექმნის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 4 მარტის N218 ბრძანებით შექმნილი სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

3.2.2. „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ქვეპროგრამის „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის" (პროგრამული კოდით 32 05 05 02) ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნების უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან კონსულტაციების შედეგად.

3.2.3. სამეცნიერო და ადმინისტრაციულ (დირექტორი) თანამდებობებზე თანამდებობრივი სარგოების შემდეგი მინიმალური ოდენობების გათვალისწინებით:

| | |
|---|---|
| დირექტორი (ხელმძღვანელი) | 1250 ლ. |
| სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი-<br>მთავარი მეცნიერი თანამშრომელი/მკვლევარი | 800 ლ |
| სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი-<br>უფროსი მეცნიერი თანამშრომელი/ასოცირებული მკვლევარი | 700 ლ. |
| მთავარი მეცნიერი თანამშრომელი/მკვლევარი | 700 ლ. |
| უფროსი მეცნიერი თანამშრომელი/ასოცირებული მკვლევარი | 600 ლ. |
| მეცნიერი თანამშრომელი/ასისტენტ მკვლევარი | 500 ლ. |

*2015 წელს დამტკიცებული „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამით" (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 30 იანვრის ბრძანება N59) განსაზღვრული პირობის თანახმად, 2016 წლის იანვრის თვეში სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ვალდებულნი არიან პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების წლიური სამეცნიერო ანგარიში წარუდგინონ სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, რომელიც განახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას და მოამზადებს შესაბამის დასკვნას. აკადემია აღნიშნულ დასკვნას, რომელიც შესაძლებელია მოიცავდეს სამეცნიერო პროექტების კორექტირების შესახებ რეკომენდაციას (როგორც სამეცნიერო, ასევე - ფინანსურ ნაწილში) 2016 წლის 25 მარტამდე წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. შესაბამისად, შესაძლებელია წინამდებარე პროგრამის კორექტირება განხორციელდეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დასკვნის გათვალისწინებით.

**4. პროგრამის ინტერვენციის (განხორციელების) სტრატეგია**

**4.1.** პროგრამის ბენეფიციარ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ფორმდება ხელშეკრულებები, რომლებითაც განისაზღვრება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული კონკრეტული პირობები.

**4.2.** სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კონკრეტულ თანამდებობრივ სარგოებს, ცხრილში მოყვანილი თანამდებობრივი სარგოების მინიმალური ოდენობების გათვალისწინებით, განსაზღვრა სამინისტროს ეკონომიკურმა დეპარტამენტმა სათანადო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან ერთად.

**4.3.** ინფორმაცია სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსების შესახებ, მუხლობრივი განწერის ფორმით, დაერთვის პროგრამას.

**5. პროგრამის მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან:**

5.1. პროგრამით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში სამინისტროს წარუდგინონ ბენეფიციარი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პერსონალის სახელობითი საშტატო ნუსხა სათანადო სახელფასო განწერით.

**5.2.** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდონ ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

**5.3.** შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების/უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გონივრულ ვადებში აცნობონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საჭიროების თაობაზე.

**6. პროგრამის სპეციფიური მიზნები**

6.1. სწავლის, სწავლებისა და კვლევების ინტეგრაციის ხელშეწყობა.

6.2. მეცნიერული კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა, სამეცნიერო პერსონალისთვის თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებზე დამყარებული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

6.3. სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის, მათ შორის, სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო ტექნიკური ხასიათის მხარდაჭერის უზრუნველყოფა და შესაფერისი პირობების შექმნა.

6.4. ახალგაზრდა სამეცნიერო პერსონალის მომზადება და მოზიდვა.

6.5. კვლევის პროცესში ინოვაციების გამოკვეთა.

6.6. თანამედროვე სამეცნიერო პროდუქტების და ტექნოლოგიების შემუშავების და მათი დანერგვის ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის;

7. მოსალოდნელი შედეგები

7.1. უნივერსიტეტებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში გაუმჯობესდება. საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხი და ამაღლდება სამეცნიერო პოტენციალი;

7.2. გაიზრდება დასაქმებული სამეცნიერო პერსონალის მოტივაცია, განსაკუთრებით ახალგაზრდა მეცნიერების;

7.3. მიეცემა სტიმული ეკონომიკის განვითარებასა და ინოვაციებზე ორიენტირებული კვლევების დაგეგმვასა და განხორციელებას;

7.4. მოხდება ახალი სამეცნიერო პროდუქტების შექმნა, თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების წარმოებაში დასანერგად წინადადებების მომზადებას;

8. პროგრამის შეფასების ინდიკატორი/ინდიკატორები

8.1. ბენეფიციარი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ვალდებულნი არიან პროგრამის ფარგლებში გაწეული სამუშაოების წლიური სამეცნიერო ანგარიში განსახილველად წარუდგინონ სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას.

8.2. სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ გაწეული სამუშაოების ექსპერტიზას წარდგენილი ანგარიშების მიხედვით და თითოეულ მათგანზე უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის მომზადებას, რომელსაც 2017 წლის 25 მარტამდე წარუდგენს სამინისტროს.

8.3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დასკვნა შესაძლებელია მოიცავდეს სამეცნიერო პროექტების კორექტირების რეკომენდაციას როგორც სამეცნიერო, ასევე ფინანსურ ნაწილში.

9. პროგრამის ბიუჯეტი

| N | პროგრამული კოდი | დასახელება | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| | 32 05 05 02 | სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამა | 21,826,460.00 |
| | | ხარჯები | 19,826,460.00 |
| | | შრომის ანაზღაურება | 12,923,200.00 |
| | | საქონელი და მომსახურება | 6,858,260.00 |
| | | მ.შ. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 3,410,600.00 |
| | | სხვა ხარჯები | 45,000.00 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,000,000.00 |

დანართი 1.

| N | დასახელება | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 1 | **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები** | **11,387,300.00** |
| | **ხარჯები** | **10,278,200.00** |
| | შრომის ანაზღაურება | 8,042,700.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 2,203,000.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 401,600.00 |
| | სხვა ხარჯები | 32,500.00 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **1,109,100.00** |
| 1.1 | **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა** | **982,200.00** |
| | **ხარჯები** | **862,200.00** |
| | შრომის ანაზღაურება | 547,400.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 313,300.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 22,800.00 |
| | სხვა ხარჯები | 1,500.00 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **120,000.00** |
| 1.2 | **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი** | **1,205,800.00** |
| | **ხარჯები** | **1,015,800.00** |
| | შრომის ანაზღაურება | 806,000.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 209,800.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 36,300.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **190,000.00** |
| 1.3 | **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი** | **755,100.00** |
| | **ხარჯები** | **737,100.00** |
| | შრომის ანაზღაურება | 653,000.00 |

| N | დასახელება | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|
| | საქონელი და მომსახურება | 84,100.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 12,400.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 18,000.00 |
| 1.4 | სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი | 1,143,400.00 |
| | ხარჯები | 924,400.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 695,800.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 226,600.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 76,900.00 |
| | სხვა ხარჯები | 2,000.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 219,000.00 |
| 1.5 | სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი | 1,440,800.00 |
| | ხარჯები | 1,403,100.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,048,100.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 339,900.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 15,100.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 37,700.00 |
| 1.6 | სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი | 641,300.00 |
| | ხარჯები | 638,900.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 498,600.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 140,300.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 76,900.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,400.00 |
| 1.7 | სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი | 572,500.00 |
| | ხარჯები | 502,500.00 |

| N | დასახელება | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|
| | შრომის ანაზღაურება | 383,600.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 117,500.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 19,800.00 |
| | სხვა ხარჯები | 1,400.00 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **70,000.00** |
| 1.8 | **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი** | **543,200.00** |
| | **ხარჯები** | **468,200.00** |
| | შრომის ანაზღაურება | 382,200.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 86,000.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **75,000.00** |
| 1.9 | **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი** | **731,800.00** |
| | **ხარჯები** | **726,800.00** |
| | შრომის ანაზღაურება | 583,400.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 140,400.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 25,300.00 |
| | სხვა ხარჯები | 3,000.00 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **5,000.00** |
| 1.10 | **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი** | **686,500.00** |
| | **ხარჯები** | **679,500.00** |
| | შრომის ანაზღაურება | 544,800.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 133,700.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 27,000.00 |
| | სხვა ხარჯები | 1,000.00 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **7,000.00** |
| 1.11 | **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი** | **434,400.00** |
| | **ხარჯები** | **390,400.00** |

| N | დასახელება | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|
| | შრომის ანაზღაურება | 341,600.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 48,300.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 14,800.00 |
| | სხვა ხარჯები | 500.00 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **44,000.00** |
| 1.12 | **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი** | **1,211,200.00** |
| | **ხარჯები** | **905,200.00** |
| | შრომის ანაზღაურება | 618,800.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 280,900.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 89,400.00 |
| | სხვა ხარჯები | 5,500.00 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **306,000.00** |
| 1.13 | **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი** | **454,500.00** |
| | **ხარჯები** | **447,500.00** |
| | შრომის ანაზღაურება | 404,000.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 43,500.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **7,000.00** |
| 1.14 | **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი** | **228,500.00** |
| | **ხარჯები** | **222,500.00** |
| | შრომის ანაზღაურება | 195,600.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 26,200.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 700.00 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **6,000.00** |
| 1.15 | **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი** | **356,100.00** |

| N | დასახელება | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|
| | ხარჯები | 354,100.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 339,800.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 12,500.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 1,800.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,000.00 |

დანართი 2.

| N | დასახელება | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 2 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებები | 5,339,410.00 |
| | ხარჯები | 4,902,060.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 4,143,900.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 748,660.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 53,100.00 |
| | სხვა ხარჯები | 9,500.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 437,350.00 |
| 2.1 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრი | 200,200.00 |
| | ხარჯები | 182,350.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 111,600.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 69,650.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 1,100.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 17,850.00 |
| 2.2 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი | 563,400.00 |
| | ხარჯები | 507,400.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 383,200.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 124,200.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 0.00 |

| N | დასახელება | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 56,000.00 |
| 2.3 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილება | 27,100.00 |
| | ხარჯები | 27,100.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 22,200.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 4,900.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 1,000.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.00 |
| 2.4 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი | 248,900.00 |
| | ხარჯები | 179,900.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 150,600.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 29,000.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 9,600.00 |
| | სხვა ხარჯები | 300.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 69,000.00 |
| 2.5 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი | 472,200.00 |
| | ხარჯები | 457,200.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 433,400.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 23,000.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 2,000.00 |
| | სხვა ხარჯები | 800.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 15,000.00 |
| 2.6 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი | 1,227,810.00 |
| | ხარჯები | 1,138,810.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,030,800.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 105,210.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 2,800.00 |

| N | დასახელება | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 89,000.00 |
| 2.7 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი | 470,400.00 |
| | ხარჯები | 460,600.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 366,400.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 94,200.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 20,500.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 9,800.00 |
| 2.8 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი | 253,600.00 |
| | ხარჯები | 225,600.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 189,600.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 36,000.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 12,200.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 28,000.00 |
| 2.9 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო - ტექნოლოგიური ცენტრი | 43,700.00 |
| | ხარჯები | 38,700.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 35,700.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 3,000.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,000.00 |
| 2.10 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი „ტალღა" | 96,400.00 |
| | ხარჯები | 93,800.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 92,000.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 1,800.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,600.00 |

| N | დასახელება | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 2.11 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი | 493,000.00 |
| | ხარჯები | 448,500.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 352,300.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 96,100.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 100.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 44,500.00 |
| 2.12 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტი | 272,000.00 |
| | ხარჯები | 230,800.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 201,600.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 28,300.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 600.00 |
| | სხვა ხარჯები | 900.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 41,200.00 |
| 2.13 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი | 130,900.00 |
| | ხარჯები | 105,900.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 80,300.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 25,600.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 25,000.00 |
| 2.14 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი | 461,100.00 |
| | ხარჯები | 445,100.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 406,600.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 36,500.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 3,000.00 |
| | სხვა ხარჯები | 2,000.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 16,000.00 |
| 2.15 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი "ტექინფორმი" | 264,300.00 |
| | ხარჯები | 250,900.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 209,000.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 40,400.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 4,200.00 |

| N | დასახელება | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|
| | სხვა ხარჯები | 1,500.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 13,400.00 |
| 2.16 | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვანტური ფიზიკის და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტი | 114,400.00 |
| | ხარჯები | 109,400.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 78,600.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 30,800.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,000.00 |

დანართი 3

| N | დასახელება | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 3 | სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები | 3,963,900.00 |
| | ხარჯები | 3,677,800.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 3,674,800.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 2,920,600.00 |
| | სხვა ხარჯები | 3,000.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 286,100.00 |
| 3.1 | სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი | 444,400.00 |
| | ხარჯები | 441,900.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 441,900.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 429,400.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,500.00 |
| 3.2 | სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი | 641,500.00 |
| | ხარჯები | 636,000.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 636,000.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 496,100.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,500.00 |
| 3.3 | სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი | 174,900.00 |
| | ხარჯები | 173,400.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 173,400.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 145,900.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,500.00 |

| N | დასახელება | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 3.4 | სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტი | 452,400.00 |
| | ხარჯები | 423,900.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 423,900.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 318,000.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 28,500.00 |
| 3.5 | სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია | 1,058,300.00 |
| | ხარჯები | 973,200.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 970,200.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 778,200.00 |
| | სხვა ხარჯები | 3,000.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 85,100.00 |
| 3.6 | სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი | 161,500.00 |
| | ხარჯები | 157,200.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 157,200.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 151,800.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4,300.00 |
| 3.7 | სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი | 790,700.00 |
| | ხარჯები | 635,000.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 635,000.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 428,000.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 155,700.00 |
| 3.8 | სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი | 100,000.00 |
| | ხარჯები | 97,000.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 97,000.00 |

| N | დასახელება | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 64,000.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **3,000.00** |
| 3.9 | **სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი** | **140,200.00** |
| | **ხარჯები** | **140,200.00** |
| | შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 140,200.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 109,200.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **0.00** |

დანართი 4.

| N | დასახელება | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 4 | სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები | 1,135,850.00 |
| | ხარჯები | 968,400.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 736,600.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 231,800.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 35,300.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 167,450.00 |
| 4.1 | სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი | 644,450.00 |
| | ხარჯები | 477,000.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 326,800.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 150,200.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 35,300.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 167,450.00 |
| 4.2 | სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი | 491,400.00 |
| | ხარჯები | 491,400.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 409,800.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 81,600.00 |
| | მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.00 |